

სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის საქმიანობის

2023 წლის ანგარიში

- იანვარში სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური ახალი სპეციალიზებული ნავით აღიჭურვა, რომელიც ტექნიკურ ჯგუფს მეტად გაუმარტივებს მცურავი სანავიგაციო ნიშნების მომსახურებას.
- სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა 2-5 მაისს მონაკოში საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) რიგით მესამე ასამბლეაში მიიღო მონაწილეობა. ფორუმში 98 სახელმწიფოს დელეგაცია იყო წარმოდგენილი.
 - ასამბლეის შეხვედრებზე მონაწილეობის პარალელურად, საქართველომ ასევე მონაწილეობა მიიღო წევრი სახელმწიფოების გამოფენაში - "Mapping the marine environment in the Ocean Decade", რომელიც გაეროს მიერ მიმდინარე ათწლეულის ოკეანის დეკადად გამოცხადებას მიეძღვნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის ავტორობით შექმნილი კარტოგრაფიული პროდუქტები, რომელთა ნაწილიც საერთაშორისო პროექტების შედეგად შეიქმნა.
 - ასამბლეის ფარგლებში გაიმართა ორგანიზაციის (IHO) გენერალური მდივნის და დირექტორის არჩევნები.
- ივნისში სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა შუქურების ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის IALA კონფერენციაზე მიიღო მონაწილეობა.
 - აღნიშნული კონფერენცია რიო დე ჟანეიროში გაიმართა და მასში ასოციაციის წევრი სახელმწიფოების და წევრი ინდუსტრიული კომპანიების 600 - მდე წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.
 - 2023 წლის IALA -ს რიგით მე-20 კონფერენციის თემა „ნავიგაციის დამხმარე საშალებები, როგორც მგდრადი მომავლის ინოვაცია“ იყო.
 - კონფერენციის მიმდინარეობისას ასევე გაიმართა ასოციაციის მმართველი საბჭოს არჩევნები.
- ივნისში საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) ჰიდროგრაფიული მომსახურების და სტანდარტების კომიტეტის შეხვედრაზე (HSSC-15) მიიღო მონაწილეობა.
 - კომიტეტის შეხვედრა ჰელსინკში გაიმართა, მასში საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის მიერ შერჩეულმა 28 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე განიხილეს S57 სტანდარტიდან S100 (უნივერსალური ჰიდროგრაფიული მონაცემთა მოდელი) და S-101 (მონაცემთა განახლების მარტივი პროცესი, პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესება) სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებული საკითხები.
- საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა ფოთის და სუფსა - გრიგოლეთის აკვატორიაში ორი ერთეული სპეციალური ოკეანოგრაფიული მოწყობილობა (TRBM) განათავსა, რომელიც წყალქვეშა დინებების, სიჩქარის და წყლის სხვა მახასიათებლების განსაზღვრას ახდენს.
 - აღნიშნული სამუშაოები ქართველმა და კორეელმა სპეციალისტებმა ერთობლივად განახორციელეს სამხრეთ კორეის ოფიციალური განვითარების დახმარების პროგრამის (ODA)-ს „საქართველოში ჰიდროგრაფიული ინფრასტრუქტურის განვითარების“ პროექტის ფარგლებში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბათუმის პორტში დამონტაჟდა ზღვის დონის განმსაზღვრელი სადგური (TIDE STATION), რომელიც ასევე სხვა მეტეოროლოგიური პარამეტრების იდენტიფიცირებას ახდენს.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სადგური ფოთის პორტშიც იქნა განთავსებული. ორივე სადგური იძლევა ფაქტიურ მონაცემებს რეალურ დროში რომელიც აისახება საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულ სამსახურში განთავსებულ სპეციალურ მონიტორზე.

➤ ოქტომბერში სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის კარტოგრაფ-კორექტორმა და ჰიდროგრაფიული კვლევების და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტმა, სამხრეთ კორეის ჰიდროგრაფიისა და ოკეანოგრაფიის სააგენტოში სამუშაო და სასწავლო ტრენინგები გაიარეს.

აღნიშნული ტრენინგები საქართველოში სამხრეთ კორეის ინიციატივით მიმდინარე პროექტის - „ ჰიდროგრაფიული ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში ჩატარდა.

➤ ნოემბერში სსიპ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის კარტოგრაფ-კორექტორმა, ლონდონში, საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) და ნიპონის ფონდის (NIPPON FOUNDATION) კურსდამთავრებულთა სემინარზე მიიღო მონაწილეობა, 2016 წელს აღნიშნული ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული კარტოგრაფიის ტრენინგ კურსის სტიპენდიანტის სტატუსით.

➤ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა შუქურების ორგანიზაციების საერთაშორისო ასოციაციის (IALA)-ს კონფერენციაზე მიიღო მონაწილეობა, რომელიც ტოკიოში მიმდინარე წლის წლის 6-10 ნოემბერს ჩატარდა.

კონფერენციაზე (IALA)-ს 40 წევრი სახელმწიფოს 98 დელეგატი მონაწილეობდა.

საქართველო, როგორც ასოციაციის ნაციონალური წევრი აქტიურად არის ჩართული ასოციაციის (IALA)-ს სამთავრობოშორისო ორგანიზაციად გარდაქმნასთან დაკავშირებულ სამუშაო პროცესებში.

➤ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტმა საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის (IHO) სასწავლო პროგრამით (Capacity Building) სამხრეთ კორეის ოკეანოგრაფიის და ჰიდროგრაფიის სააგენტოში (KHOA) 5 თვიანი ტრენინგ- კურსი გაიარა, რომლის დასრულების შემდგომ მას B კატეგორიის კარტოგრაფის სერთიფიკატი გადაეცა.

აღნიშნული ტრენინგი საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაციის ეგიდით სრულად უზრუნველყო სამხრეთ კორეის ოკეანოგრაფიისა და ჰიდროგრაფიის სააგენტომ.

➤ საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში მცურავი სანავიგაციო ნიშნები ადგილმდებარეობის კონტროლის და მონიტორინგის თანამედროვე მულტიცენტრული მართვის სისტემით აღჭურვა.